# ნაციონალისტი

ოთხშაბათი ოქტომბრის 13 1920 წ. ნაციონალისტური და აგრარული პოლიტიკის ორგანო. № 12 ფასი 10 მან.

**მისამართი:**
**რედაქციის და კონტორის:** დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.
**რედაქტორის:** წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22.

**ხელის მოწერა:**
წლის დამლევამდე—750 მან. (ფოსტ. ხარჯით).
ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

**განცხადებანი**
მიიღება ნაშუადღევს 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტით 1 გვერდზე—15 მან. მ-4-გვერდზე—10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი—300 მან.


## მ ცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მთელი მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

### „მ წ ყ ე მ ს ს“,

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან

მატყლის ადგილობრივად საფასურად,

მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესამქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. . . . . 10 პროც.
2) მეცხვარეს ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . . 45 პროც.
3) სახელმწიფოს მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. . . . . . 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

**მომარაგების სამინისტრო.**

## განცხადება.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

### მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

## მატყლის ყიდვა გაყიდვა

### პერძო პირთათვის აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

**ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4.000 მან.**
**ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4.500 მან.**

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებული** არიან ადგილობრივ **გაყიდონ** მატყლი **მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

**შენიშვნა:** სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

**მომარაგების სამინისტრო.**

საქართველოს

## სავაჭრო-სამრეწველო პალატის

## საბუღალტრო კურსებზე

სწავლა (ქართულ ენაზე) დაიწყება 20 ოქტომბერს. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე (კვირა დღითაც) 12-1 საათამდე პალატის სასკოლო განყოფილებისაგან. (ეროვნული საბჭოს ქუჩა, № 11 ყოფილი ფრეილინის ქუჩა)

## განცხადება

1. თანახმად მთავრობის 30 სექტემბრის დადგენილებისა, არავის არა აქვს უფლება გაიტანოს ხორბლეულობა გორის, სიღნაღის, თელავის და ახალციხის მაზრებიდან, გარდა მომარაგების სამინისტროსი.

2. მხოლოდ იმ პირთ, ვისაც ზემოაღნიშნულ მაზრებში აქვთ თავიანთი საკუთარი პირნახული, არა ყიდვით შეძენილი, არამედ ან ლალა თავის მამულის, ან საკუთარი, ან მისი ოჯახის ნამუშევარი,—მას უფლება ეძლევა გაიტანოს მაზრიდან თავის ოჯახის საჭიროებისათვის ოჯახზე თვიურ სახარჯოდ არა უმეტეს ხუთი ფუთისა, ე. ი. სამოცი ფუთი წლიურად. ამ რაოდენობის გატანა შეიძლება როგორც ერთად, ისე ნაწილობრივ:

**შენიშვნა:** ხორბლეულობა უნდა გამოგზავნილ იქმნეს რკინის გზით.

3. ხორბლეულობა, საქონლის პატარებლით, თუ ბაგაჟით, უნდა გამოგზავნილ იქმნეს აუცილებლად მომარაგების სამინისტროს სახელზე სადგურ თბილისში, სადაც სათანადო საბუთების წარმოდგენის შემდეგ მიეცემა პატრონს ხორბლეულობა.

4. საბუთებად საჭიროა: ა) მოწმობა ადგილობრივ ერობის ან თემის, რომ წამოღებული ხორბლეულობა არის წამომღების საკუთრება და რომ იგი არ არის მის მიერ შესყიდული, თანახმად ამ დადგენილების მეორე პუნქტისა; ბ) პასპორტი ან სხვა მოწმობა პიროვნების; გ) მოწმობა უბნის კომისარის მისი ოჯახის წევრთა ვინაობის და საცხოვრებელის ბინის მისამართი.

5. სადგურ თბილისში დანიშნულია მომარაგების სამინისტროს რწმუნებული, რომლის მოვალეობაც არის ამგვარათ გამოგზავნილი ხორბლეულობის გამოსაგზავნი და მისაღები დოკუმენტების შემოწმება და კანონიერად, გამოგზავნილი

6. თუ ხორბლეულობის გამომგზავნი ვერ წარმოადგენს ამ დადგენილების ხორბლეულობის მის პატრონისადმი გადაცემა და რეგისტრაცია.

მე-2 მუხლში აღნიშნულ საბუთებს, ან ყალბ საბუთებს წარმოადგენს, ან გასასყიდად ჩამოიტანს—ჩამოტანილი ხორბლეულობა უსასყიდლოთ და თვით გამომგზავნი პასუხის გებაში იქნება მიცემული.

7. საზოგადო დაწესებულებანი, რომლებიც მასცემენ ხორბლის გამომტანს ყალბ მოწმობას, აგრეთვე იქნებიან პასუხის გებაში მიცემულნი.

**მომარაგების სამინისტრო**

## ნაციონალური პარტიის

## კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (დღისით 10 ძვ. სტ.)

### დღიური წესრიგი:

I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
III. სამაზრო მოხსენებანი (დელეგატებისა).
IV. საერობო და საპარლამენტო არჩევნების სამზადისი.
V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100.

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ალაგები განაწილებულია მაზრებს შორის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე—ერთი)

**მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო სკოლის პირველი ნაყოფი.

ცხრა ოქტომბერი ოქროსფერი ასოებით უნდა ჩაიწეროს რესპუბლიკის სამხედრო ისტორიის ფურცლებზე.

ამ დღეს 9 თვიანი კურსი გაათავა სამხედრო სკოლის ნაცვალთა ათასეულმა.

ეს პირველი გამოშვებაა ნაცვლებისა. ოთხასამდე ნაცვალი დანაწილდა და დაიგზავნა რესპუბლიკის ჯარების სხვა და სხვა ნაწილებში.

ნაცვალთა შემადგენლობაზეა დამოკიდებული ჯარის სიმტკიცე და სიძლიერე. მათ ცოდნაზე, ყოფაქცევაზე, საქმის აზრიან, წმიდათ და სინდისიერათ შესრულებაზეა დამოკიდებული თვისება ჯარისა. ოფიცერია და ნაცვალთა შემადგენლობა სარკეა ჯარისა.

დღევანდელ გარდამავალ ხანაში, როდესაც ოფიცრებს, ჯარმა გაწვეულთ ჯერ კიდევ ზოგიერთნი უნდობლად უცქერიან ტენდენციურ აგიტაციის ზეგავლენის გამო ნაცვლებს დიდი ნდობა და გასავალი ექნებათ მათში. ნაცვლები საუკეთესო თანაშემწენი და თანამშრომელნი იქნებიან თავიანთ უფროსების, თავიანთ ოფიცრებისა ახალგაზრდა ჯარის გაწვრთნაში.

უმრავლესობა ნაცვლებისა გლეხთა წრიდან არიან გამოსულნი, რაიც საშუალებას მისცემს დაუახლოვდენ ჯარის კაცთა მასსას და უფრო გაბედულად და მტკიცედ მოსთხოვონ თავის დროზე დისციპლინა და სამსახური ჩვენი რესპუბლიკის საკეთილდღეოთ.

ერთი სისხლისა და ხორცის შვილნი უფრო ადვილად გაიგებენ ერთმანეთის ენას. აქ იქნება შეგნებული და ერთგვარი ნებაყოფლობითი მორჩილება, რომელიც დაუზარებლივ აასრულებინებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

ნაცვლები გააგებინებენ თავიანთ ხელქვეით ჯარის კაცებს, რომ მათ ყურადღებას აქცევენ არა თუ მარტო მათი თანამემამულენი, არამედ უცხოელებიც. მათი გარეგნული შეხედულებითაც კი წარმოიდგენენ ჩვენი ჯარის დისციპლინას, სიმტკიცეს და ძლიერებას, ჩვენი ხალხის სახელმწიფოებრივ ნიჭს, გამჭრიახობას და უნარს.

სამხედრო სკოლის მიერ გამოშვებული პირველი მერცხლები — რესპუბლიკის ჯარის ნაცვლები, ახალ ნაკადს შეიტანენ ჩვენს ჯარში.

მ. იშხნელი.

# პრესსა.

## სამხედრო მიტინგების გამო

„კომუნისტი“ სწერს:

„თვით მენშევიკების მირაბო, დამფუძნ. კრების თავმჯდომარე ლომთათიძე ქუხდა და ნაპერწკლებს ისროდა ტრიბუნიდან, თვით მენშევიკების ლაფაიეტი, სახალხო გვარდიის უფროსი ჯუღელი მთელს მსოფლიოს ემუქრებოდა კბილების ჩამტვრევით! მიუხედავათ ამისა პრესას მაინც პირში წყალი ჩაუყენეს, ანგარიშების გამოქვეყნება შინ. სამინისტროს განკარგულებით აუკრძალეს. აკრძალეს სწორედ იმის გამომზეურება, რაც ქართველ დემოკრატიის ოქროპირებიდან ამოვიდა. ნუ თუ ქვეყნურ დემოკრატიისათვის საინტერესო აღარ არის ბ. ბ. ლომთათიძის და ჯუღელის პოლიტიკური სიბრძნით აღსავსე სიტყვები. ნამეტურ უკანასკნელის, რომელმაც რუსეთის მისსიის სადგომის წინ გამართულ მიტინგზე მხატვრულად შეადარა დაშნაკელთა წითელი დროშა მისსიის აივანზე გადმოკიდებულ სახელმწიფო წითელ დროშას და ამ უკანასკნელის წითელი ფერი მტარვალ ბოლშევიკების მიერ დაქცეულ მუშების სისხლს მიაწერა?

და განა ისიც აღარაა საინტერესო პროვინციელ დემოკრატიისათვის, რომ დაშნაკელთა და ლომთათიძე-ჯუღელის ჭეშმარიტ სოციალისტურ მიტინგის მონაწილეთა შორის გაისმა ასეთი ჭეშმარიტი დემოკრატიული და სოციალისტური გამოძახილი რუსეთის მისსიის მიმართ: Жиды! бей жидов!“

## ინტერნაციონალის დელეგატების საქმიანობა

„რა მიზნით დარჩა რამოდენიმე კვირით ჩვენში გიუსმანს—ვანდერველდეს კოლეგა დე-ბრუკერი? რა მიზნით დაიარება ის ხან სავაჭრო-სამრეწველო პალატაში, ხან ჭიათურის საქციონერო საზოგადოებაში და სხვა? ან ეგებ ისიც გამოკვლიოს ბ. გვაზავამ.—რა ნათლიმამობა გაუწია ბ. დე-ბრუკერმა შავი ქვის საექსპორტო საზოგადოება „ჩემო“-ს გამგეობაში ბელგიელ მოქალაქე და ჭიათურელ მრეწველს ბ. მიულსს (ეს ის მიულია, რომელიც წითელი ბანტით გულზე ჭიათურაში მხარს უმშვენებდა ესტრადაზე სოციალისტ დელეგატებს, როცა ისინი მუშებს უქადაგებდენ—ბევრი იმუშავეთ და სინდისიერათ შეასრულეთ თქვენი მოვალეობა დამქირავებელთა წინაშე) ან და კიდევ ბ. გვაზავას არ გაუჭირდება ამის გამოკვლევა—რა დეპეშები მოუვიდათ ჭიათურაში რუსეთ აზიის ბანკს და ბელგიელი საზოგადოების „კოლონიალური კავშირი“-ს რწმუნებულს ბ. ტაბურიოს, რის შემდეგ ის ბ. ვანდერველდესთან იყო მოსალაპარაკებლათ? რაიმე კომერციულ კომბინაციაზე ხომ არ ყოფილა საუბარი?... „ამბობენ, რომ მიულსსა და „სოციალისტ“ ვანდერველდეს შორის კომერციული კომბინაციები არსებობსო. შეიძლება ამით აიხსნება ისიც, რომ ხსენებულ სტუმრებს აქ პირველი ნადიმი შავი ქვის მრეწველთა საბჭომ გაუმართა თავის ხარჯზე. ყველა ამის შემდეგ, ნება გვიბოძეთ „საყვარელო“ სტუმრებო იჭვის თვალით გიყუროთ“...

## მუშათა მაგიდის სპეკულიაცია

„ახალ სხივში“ ნ. ჯიხაიშელი სწერს:

მუშათა მაგიდა უნდა იყოს დაინტერესებული არა მოგებაში, არამედ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებაში. პირიქით მუშათა ცხოვრების პირობები კიდევ უფრო უარესდება ამ [illegible] სართულიანი ორგანიზაციის საშუალებით. ამას ამტკიცებს თუ გინდ შაქრის და ბრინჯის დარიგება მუშა მოსამსახურეებზედ.

როგორც ვიცით მომარაგების სამინისტრომ დაუთმო მუშათა მაგიდას ფუთი შაქარი (რაფინადი) 1080 მ. ესე იგი გირვანქა 27 მანეთად. მუშათა მაგიდა კი აცხადებს, რომ მუშებს დაურიგდება შაქარი (რაფინადი) გირვანქა 100 მანეთის კვალობაზედ. ესე იგი 1080 მანეთიან შაქარს ფუთს მუშათა მაგიდა ურიგებს ანუ ყიდის მუშებზედ 4000 მანეთად.

იმავე მომარაგების სამინისტრომ ბრინჯი დაუთმო მუშათა მაგიდას 1000 მან. ფუთი ე. ი. 25 მ. გირვანქა მუშათა მაგიდა კი აცხადებს, რომ მუშებს ბრინჯი დაურიგდება 35 მან. გირვანქა ე. ი. ფუთი 1400 მანეთად.“

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტოსი)

## ლონდონის ცნობები

ბელგიის პრემიერი დელაკრუა კვირას ლოიდ ჯორჯთან სათათბიროდ ლონდონში ჩავიდა.

თანახმად ათინიდან მოსულ ცნობების საბერძნეთის მეფის ალექსანდრის ჯანმრთელობა გაუარესდა, მოელიან პარიზის მედიკურ ფაკულტეტის ერთ ესაორის ვიდოლის ჩამოსვლას.

ბელგრადიდან იუწყებიან: სამხრეთ სლავიის მინისტრთა საბჭომ იტალიასთან მოლაპარაკების საწარმოებლად საგარეო მინისტრი ტრუმბიჩი და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ლიჩიჩი აირჩია.

საფრანგეთის პრესა იუწყება: საბჭოთა რუსეთისა და პოლონეთის შორის დროებითი ზავი კიდევ არ არის ხელმოწერილი, ორთავე დელეგაციის საერტორიატები დამრკოლების შესახებ იტყობინებიან.

კვირას შრომის და ხელოვნების საზოგადოება! საფრანგეთის გამოჩენილ ფლამარიონს ობსერვატორიაში პატივისცა. მთავრობის წარმომადგენლად იყო რეიბელი. ფლამარიონს მისალმებით მიმართეს.

უეცარის ალების გამო ისპანიის მეფემ გენერალ ლიტვის შემდეგი წერილით მიმართა: ვისწრაფი გამოგიგზავნოთ როგორც თქვენ ისე თქვენ გმირ ჯარისკაცებს გულწრფელი მოლოცვა უეცარის ალების გამო.

ამიენის პატუაში მომხდარ განათლების ლიგის ყოლსაბრელ სხდომას თავმჯდომარეობდა საფრანგეთის განათლების მინისტრი. მან სხვათა შორის სთქვა: შემდეგ 1870 წელში გერმანელები ლაპარაკობდენ როგორც მასწავლებელზე საფრანგეთის მასწავლებელმა მეტი სარგებლობა მოუტანა ქვეყანას ვიდრე მთავრობის შტაბმა ვინაიდან ეს მასწავლებელმა აღიარა ახალგაზდობის სული. იმ ახალგაზდობის, რომელმაც ომის დროს დიდი სულის სიმტკიცე გამოიჩინა.

## მოსკოვის ცნობები

სამხედრო ცნობა 11—10 ოქტ. ტურგონის სამხრეთით ჩვენ სოფლები დავიჭირეთ. მინსკის რაიონში ჩვენ წინ წავიწიეთ და ამ დაბის ჩრდილოეთით და სამხრეთით 30 ვერსზე მდებარე სოფლები დავიჭირეთ. სლუცკის დასავლეთით 10 ვერ. გზატკეცილის გასწრივ მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სამხრეთით კი სლუცკის დასავლეთით 10—20 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. ლუნინეცის რაიონში უმნიშვნელო შეტაკებებია. სარნის მიმართულებით ჩვენ მტერი ლევსკისკენ დავხიეთ. ნოვგოროდ-ვოლინის რაიონში ჩრდილოეთით 10—15 ვერსზე რამდენიმე ადგილი დავიჭირეთ. დამატებითი ცნობებით ამ ქალაქის სამხრეთ-და-

## უკანასკნელი ცნობები

პოლონეთ—რუსეთის შუა ზავი არ ჩამოვარდნილა.

პოლონელებს ვილნო დაუკავებიათ.

ენვერ ფაშა ქემალ ფაშასთან მიემგზავრება.

ანგორაში ოსმალთა საბჭოში ყოფილა ალი რიზა ბეი, რომელიც თავს ბათუმის ოლქის წარმომადგენელს უწოდებს.

ბათუმში ქართველ მოხალისეთა ჯგუფი შემდგარა სომხეთის ფრონტზე წასასვლელად.

ბათუმში ხმები გავრცელებულა თითქოს ინგლისელები დაბრუნდებიან და პორტოფრანკოს გამოაცხადებენო (»ტ).

ბათუმის საგანგებო კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი აბასთუმანში გაემგზავრა საქმიოდ. ხმები დადის, რომ იგი აღარ დაბრუნდება ბათუმში.

სავლეთით ბრძოლის დროს ჩვენ 42 ტყვე წამოვაყვანეთ. ბეისლავის რაიონში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 12 ოფიცერი და 340 ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიისმფრქვეველი და სხვა სამხედრო ქონება. გულაი-პოლესა და ბერდიანსკის მიდამოებში ჩვენი შეტაკება სასურველად ვითარდება. ჩვენმა ჯარმა გულაი-პოლე დაიჭირა.

## ენვერ-ფაშა

ალმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე ენვერ-ფაშას ყრილობის ერთ-ერთ დელეგატისთვის კამათის დროს შემდეგი განუცხადებია: „წყეულ იყავით თქვენ თვითონ კომუნისტებო, თქვენივე რწმენით! მე არავითარი საქმე თქვენთან არა მაქვს. მე ვმუშაობდი და ვმუშაობ ნაციისათვის. მისი ბედნიერება ჩემი ბედნიერებაა, ძისი უბედურება ჩემი უბედურებაა. ამით დიალოგი დასრულდა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ენვერის ყოფნამ ყრილობაზე მრავალი ხმები გამოიწვია, რამაც ენვერის დასუსტებული ავტორიტეტი გააძლიერა.

მრავალი დელეგატები, განსაკუთრებით თურანელები და კალმუხები, ამბობდენ რომ, თუ ბოლშევიკები ეძებენ შეთანხმებას ენვერთან, მაშასადამე ენვერი, როგორც ძალა, მათ სჭირდებათო.

## დეშანელის ავადმყოფობა.

Excelsior-ი ეხება რა საპრეზიდენტო კრიზისს საფრანგეთში, გადმოგვცემს აბავს შემდეგ ინციდენტზე, რომელიც იყო საბოლოო საბაბი დეშანელის უარის თქმისა პრეზიდენტობაზე.

გუშინ, 16 ენკ., სწერს გაზეთი, ჩვენ გაუწყეთ, რომ დეშანელის მდგომარეობა უკანასკნელ დღეებში მეტად სერიოზული გახდა. უკანასკნელ კვირამდე თითქმის პრეზიდენტს გაუმჯობესება დაეტყო და ვიმედოვნებდით, პალატის სესიის გახსნაში პრეზიდენტი თანამდებ მოვალეობას აღასრულებდა. მაგრამ 10 ენკ. მოხდა ახალი ინციდენტი, რომელიც საოცრად მიაგავს 23 მაისის ინციდენტს, როცა პრეზიდენტი ჩამოვარდა მონტარჟისთან ახლოს მონბრიზონში მიმავალ მატარებლიდან.

გამოირკვა, რომ 10 ენკ. დილის 6 ს. დეშანელი გამოვიდა რამბულიეს ციხე-დარბაზიდან და პარკში ჩამოვიდა. სეირნობით ის მივიდა არხამდე, რომლის ნაპირზედაც ციხედარბაზის ერთი მსახურთაგანი თევზს იჭერდა. პრეზიდენტმა რამდენიმე სიტყვა უთხრა მეთევზეს, უს-

ურავ ბლომად თევზის დაჭერა და ქვეით გაემართა.

რა მოხდა მერე, არავინ იცის, მარტო მეთევზემ დაინახა, რომ დეშანელი იდგა შუა არხში, წყალი წელამდე სცემდა. ეცნენ საშველად და მყისვე ციხე-დარბაზში მიიყვანეს. ექიმებმა სწრაფი დახმარება აღმოუჩინეს.

ინციდენტმა უშედეგოდ ჩაიარა. მაგრამ თავის ნათესავებთან რჩევის მერე პრეზიდენტმა გადასწყვიტა, რომ ის მალე ვერ განიკურნება და ვეღარც თავის თანამდებობას შეუდგება. (ს.)

# ქრონიკა.

**მთავრობის თავმჯდომარის შეურაცყოფისათვის.**

მთავრობამ 9 ოქტომბრის სხდომაზე მოისმინა თავმჯდომარის მოხსენება, რომელიცა გამოირკვა:

ა. წ. 6 ოქტომბერს მთავრობის თავმჯდომარის კაბინეთში, გარეშე პირთა თანდასწრებით გამართულ ოფიციალურ თათბირის დროს, საზოგადოება „ჩვენ“-ს წარმომადგენელმა კონსტანტინე თუმანიშვილმა დასწამა მთავ. თავმჯდომარეს კერძო პირის ინტერესების დაცვა წინააღმდეგ სახელმწიფოისა.

მთავრობამ დაინახა რა ბ-ნ თუმანიშვილის საქციელში მთავრობი-თავმჯდომარის შეურაცყოფა, ამავე სხდომის დადგენილებით მიუსაჯა თუმანიშვილს ექვსი თვის ვადით ადმინისტრატიულ წესით დაპატიმრება.

**სოც. დემ. პარტიული თათბირი.**

ოთხშაბათს, 13 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია შეერთებული სხდომა ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის, დამფუძ. კრების ს. დ. ფრაქციის და ყველა ხელმძღვანელ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებისა. კრების საგანია ეკონომიური თათბირი.

**გიორგი ჟორდანიას გადადგომა.**

(საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება № 27). 11 ოქტომბერი 1920 წლ. იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორი გიორგი თევდორეს ძე ჟორდანია განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან თანახმად მისი თხოვნისა 1920 წლის 2 ოქტომბრიდან. მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია. მთავრობის საქმეთა მმართველი კ. ჯაფარიძე.

**გ. ჟორდანიას გადადგომის გამო.**

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორობა უქმდება. მის ნაცვლად დაწესებული იქმნება მინისტრის თანაშემწის თანამდებობა. იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე მოითხოვს, რომ ამ პოსტზე დაინიშნოს სოციალ დემოკრატი.

**გაზეთების გაგზავნა.**

მატარებლების მიმოსვლის შეცვლის გამო, ეს მესამე დღეა პროვინციაში გაზეთები მეორე დღეს მიდის.

**სობინოვის და სხვ. მოწვევა.**

სახელმწიფო თეატრის კომისარმა წუწუნავამ სევასტოპოლში გაგზავნა პეტროგრადის სახელმწიფო თეატრის ცნობილი—არტისტი ნ. ხოლიფი ყირიმში გასტროლებზე მყოფ არტისტებ ლ. სობინოვის, ლ. სიბირიაკოვის, ნ. ვოლევიჩის და კონსერვატ. პროფესორ ვ. მეტცალის მოსაწვევად თბ. სცენაზე. ნ. ხოლიფს რწმუნება აქვს შეაძლიოს სობინოვს 500 ათასი მან. (ლონის ფულით) თითო გამოსვლაზე, პირობით რომ კვირაში ორჯერ გამოვიდეს არტისტსა და მის ოჯახს მიეცემა ბინა ყოველგვარ მოწყობილობით.

**მეორე ქართული კლუბი**

გადავიდა საზამთრო ბინაზე 10 ოქტომბრიდან.

**„ერობა“.**

მრვიღეთ ჟურნ. „ერობის“ № 8.

**ქნარის ლექსები.**

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ მგოსან იოსებ გვანცალაძის (ქნარის) ლექსების წიგნი.

**გორში.**

20 ოქტომბერს შესდგება გორის სამაზრო ხმოსანთა ყრილობა ქ. გორში.

**გერმანელები კ. კაუცკისთან**

შაბათს 9 ღვინ. კარლოს კაუცკი ინახულა გერმანელთა ეროვნულ საბჭოს დელეგაციამ, ფ. შულცის, ინჟ. ლამპარტორის ბ. გორგინის და კონტრინის შემადგენლობით, კაუცკიმ გულმოდგინედ მოისმინა დეპუტაციის მოხსენება, იკითხა გერმანელების მდგომარეობა თბილისში, დაადასტურა რომ ის ინახულებს, როგორც რეალურ სასწავლებლის თბილისში, ისე მათ ახალშენებს პროვინციაში. კაუცკი განსაკუთრებით დაინტერესდა საქართველოს გერმანელთა შორის აგრარულ საკითხის გადაწყვეტით დასასრულ დეპუტაციამ განუცხადა, რომ საქართველოს ხალხი და მთავრობა იშვიათი ყურადღებითა და სიყვარულით ეკიდება გერმანელებს.

**ზენ. მაზნიაშვილის და ჯიჯიხიას საქმე**

რესპუბლიკის სამხედრო სასამართლოს პროკურორმა დ. მირიანაშვილმა საბრალმდებლო ოქმი შეუყენა გენერლებს გ. მაზნიაშვილს და ა. ჯიჯიხიას, შტ. კაპ. პ. ნაზარეიშვილს, შტ. როტ. ნ. მამულაიშვილს, ოფ. ი. კანდელაკს, პირველს ორს 1918 წ. თებერვალში ოსმალებისთვის ახალციხისა და მისი მაზრის ლონგებეზე, აგრეთვე სხვა სამხედრო ბორიტ მოქმედებებზე, უკანასკნელს სამს ბრძანებათა აუსრულებლობაზე, საქმე სამხედრო სასამართლოში გიორგობისთვის დამდეგს გაირჩევა.

**რკინის გზელთა ყრილობა**

რკინის გზელთა პროფ. კავშირების გამგეობა ფიქრობს უახლოეს დროში მოიწვიოს სახაზინო რკინის გზების მოსამსახურეთა მუშების წარმომადგენლების მორიგი ყრილობა.

**ზედამხედველობა წისქვილებზე**

შრომის სამინისტრო ქალაქის სასურსათო განყოფილებასთან შეთანხმებით აწარმოებს წისქვილებზე და ფურნეებზე დაწესებულ კონტროლის კონსტრუქციას, შრომის სამინისტროსა და სასურსათო განყოფილების აზრით უქმდება კონტროლის ორმაგი სისტემა. არსდება კონტროლის ერთი სისტემა სასურსათო განყოფილების მხრივ. კონტროლიორებათ პროფესიონალური კავშირების მიერ არჩეული პირები დაინიშნებიან. კონტროლიორები პასუხის მგებელნი არიან როგორც პროფ. კავშირების ისე სასურსათო განყოფილების წინაშე. კონტროლიორებს პურის საქმის აგენტები ეწოდება. სულ განზრახულია 30 აგენტის დანიშვნა. პროფ. კავშირების სეკრეტარიატი ვაეკნო რა ამ ასეთ პროექტს დაადგინა დამტკიცდეს იგი და მისცეს წინადადება პროფ. კავშირებს წარმოაყენონ თავის მხრით კანდიდატები.

**მუშათა სახახლე ფოთში**

ფოთის ნავთსადგურის მუშათა საავადმყოფოს კასის გამგეობამ სთხოვა შრომის სამინისტროს ნებართვა, რომ თავის საშუალებიდან მუშათა სასახლის ასაგებად გაიღოს 500:000 მანეთი, იმ პირობით, რომ სასახლეში კასის გამგეობა დაეთმოს 5 ოთახი. შრომის სამინისტრომ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა, მხოლოდ საავადმყოფო კასას უნდა დაეთმოს საჭირო ოთახები.

# ბათუმის ამბები.

(„ბათუმის ფურცლის“ ცნობა.)

ოქტომბრის 8-ს საგანგებო კომისარი ბ-ნი ბენია ჩხიკვიშვილი, ჯარების სარდალი გენერალი მდივანი და ქალაქის მოურავი ბ-ნი გ. ანჯაფარიძე ორთაბათუმში მოვიდნენ. ეს მეორეთ მოვიდა აქ საგანგებო კომისარი, მან ხალხს გამოუცხადა, რომ აუცილებელია დამნაშავე პირთა დაუყონებლივ მიცემა და გაწერილ ფულის გადახდა, რაც უნდა მოხმარდეს სკოლის აგებას და ხიდის გაკეთებას. ბ-ნმა კომისარმა მოითხოვა აგრეთვე განიარაღება და სთქვა: სამწუხაროდ ხალხმა ვერ მოიხმარა იარაღი და მე იძულებული ვარ ავყარო.

სოფ. ორთაბათუმში ორივე სოფელი—ყოროლისთავი და ორთაბათუმი ითხოვდენ სრულ პატიებას და აცხადებდენ ერთგულებას.

საგანგებო კომისარმა ცათთვალიერა წყალსადენი, რომელიც 1918 წ. თურქთა შემოსევის დროს ჩვენმა უკუღმა ხალხმა გააფუჭა. მიიღო პატაკი რაზმის უფროს კოლკ. ვაჩნაძისაგან და ხალხს დაუბარა რომ ხვალ საღამომდე ე. ი. ოქტომბრის 9-მდე უნდა დამთავდეს დამნაშავეთა მიცემა და ფულის გადახდა, ამ დროიდან კი თუ რასაკვირველია მოთხოვნილება არ იქმნა შესრულებული, ჯარი გადავა საგზებურო მდგომარეობაში და დარჩება სოფელში. წამოსვლისას საგანგებო კომისარმა ისევ განცვიფრება გამოსთქვა იმის შესახებ, რომ აქ შეურაცყვეს მკვდრის საფლავი, რაც წმინდათ უნდა ყოფილიყო დაცული თანახმად ისლამის სჯულისა და შარიათის კანონისა. ხალხმა ერთხმად იგრიალა, რომ სასტიკად არის დასასჯელი დამნაშავენი და აღუთქვა კომისარს, ხვალ საღამომდე ყველა მოთხოვნილებას შევასრულებთო.

— ართვინის ოლქიდან გვატყობინებენ, რომ ართვინის მახლობელი სოფლები ყველა სურვილს აცხადებს იარაღი ჩააბაროს მთავრობას და სთხოვოს ადგილობრივად მაგარ მილიციის მოწყობას ყაჩაღ—ავაზაკთა თარეშის აღმოსაფხვრელად.

— ოლქის კომისარი ბ. შენგელია უწყებს, რომ კოხის და საზოგადოდ ქობულეთის რაიონში წესრიგი სრულიად აღდგენილია. ხალხმა გასცა ყველა დამნაშავენი, მოიტანა იარაღი და გადიხადა ჯარიმა. იმ ზომამ, რომელიც ჩვენ ვიხმარეთ იმ რაიონში მთელი ხალხი გამოაფხიზლა ყველა მოულოდ სოფლებიდან ჩამოვიდა სოფლის წარმომადგენლები და წესიერების დაცვაში მხურვალე მონაწილეობაში სურვილი განაცხადა.

— ორთაბათუმიდან ოლქის კომისრის თანაშემწე ბ-ნი დგებუაძე იუწყება რომ ოქტომბრის 10-მდე მოხდება სრული ლიკვიდაცია ე. ი. იარაღის აყრა, ჯარიმის გადახდევინება და დამნაშავე კი გაიცემა. აქამდე მიტანილია 60 თოფი და 10 რევოლვერი.

— ბ. ჩხიკვიშვილი ორთაბათუმის შესახებ. „მე გავგზავნე ჯარი ... ამ სოფელში. ხვალიდან ჩავაყენებ ეგზეკუციას და ვბრძანებ 24 საათში მომცენ ყველა ხალხის მტერი და მოთრეული აგიტატორი. მე შევაწერ გაანარქისტებულ ჯგუფებს ერთ მილიონ გადასახადს, ამით მოვაწყობიებ სკოლას და მაშინ იმედი მაქვს გონს მოვიდენ სწორ გზიდან გადამცდარნი, მოსყიდულ პირთა ამყოლ-დამყოლნი“.

— ოლქის აგრონომის თანამდებობაზე დაინიშნა მოქ. ბოგდანოვი.

— ხულოში საქონელს შავი ჭირი გაუჩნდა. ამის გამო იქ გაიგზავნა ვეთილი ექიმი ტიმოფეევი.

— წარსული დღის განმავლობაში შავი ჭირით არავინ გამხდარა ავათ. შავი ჭირის გაჩენის დღიდან დღემდე ავათ გახდა 77 კაცი.

— საზეითლო ინსპექტორმა თხოვნით მიმართა ქალაქის თვითმართველობას საქონელზე ციმბირის ავადმყოფობის გავრცელების წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ.

# აფხაზეთის საბჭოში

აფხაზეთის სახალხო საბჭოს სესიაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სამხედრო საგანგებო სასამართლომ, რომელიც მოქმედობს ა. წ. იანვრიდან და რომელმაც ოცი სასიკვდილო განაჩენი გამოიტანა. საბჭოში კამათმა პრინციპიული ხასიათი მიიღო სიკვდილით დასჯის შესახებ. საბჭოს წევრებმა ს.-დ. იცავდენ სახელიწიფოებრივ თვალსაზრისს სიკვდილით დასჯის აუცილებლობის შესახებ, როგორც საშვალებას ანარქიის წინააღმდეგ აფხაზეთში.

უმრავლესობა ფარული ხმის მიცემით სამის წინააღმდეგ, საბჭომ სამხედრო სასამართლოს გაუქმება გადასწყვიტა. კენჭის ყრის შემდეგ აფხაზეთის შინაგან საქმ. კომ. შბორიამ თავისი გადადგომა გამოაცხადა. (ტ.)

# სამხედრო სკოლის

**დრ. უფროსის პოლკ. ჩხეიძის მიმართვა ნაცვალთადმი**

**კურსის დამთავრების გამო**

მ ხ ე დ რ ე ბ ო!

დადგა დრო, როდესაც ჩვენ ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. თქვენ 10 თვეზედ მეტი დაჰყავით ჩვენთან, სამხედრო სკოლაში, და ეხლა, მიიღეთ რა კარგი მომზადება სამხედრო საქმეში, მიდიხართ დანიშნულ ნაწილებში. სწორეთ ეხლა იწყება თქვენი ნამდვილი სამსახური. აქამომდის თქვენ იყავით მოწაფეები, ეხლა კი თქვენ იქნებით მასწავლებლები და უფროსები და უნდა დაამტკიცოთ ნაწილებში, რა შეგასწავლეს სამხედრო სკოლაში. მე ღრმად დარწმუნებული ვარ და ვიქნები, რომ თქვენ გაამართლებთ ჩემს იმედებს. ნაცვალი არის პასუხის მგებელი თანამდებობის პირი. არ დაგავიწყდეთ ის, რაც თქვენ აქ შეგასწავლეს, პირიქით, თქვენ უნდა ეცდილობდეთ არ დაივიწყოთ წესდებები, ხშირად უნდა გადაიკითხოთ ხოლმე, რადგანაც წესდება ძალიან ადვილათ ავიწყდება მხედარს.

თქვენ ხართ პირველი და ნამდვილი ქართველი ნაწილები. ადვილი შესაძლებელია, რომ იმ ათასეულებში, რომლებსაც თქვენ მოევლინებით, შინაური წეს

რიგი ნაკლებათ წაავადეს ჩვენი ათასეულის წეს-რიგს, რადგანაც იქ მათ არ ჰყავთ მომზადებული და გაწვრთნილი ნაცვლები, რომელნიც შეძლებენ და დაამყარებენ სრულ წეს-რიგს. აი, წორეთ თქვენგან არის დამოკიდებული დამყარება ისეთი წესრიგიანობისა, რომელიც თქვენ უკვე შეისისხლხორცეთ და შეითვისეთ სკოლაში. რასაკვირველია, თქვენ თქვენის მეოხებით, თქვენის ნებით კი არ უნ გარდაქმნათ მათი წეს-რიგი; არა, თქვენ უნდა მოახსენოთ ამაზე უფროსებს და, როდესაც ისინი დაინახავენ, დარწმუნდებიან, რომ თქვენ იცით სამსახური, რასაკვირველია, თქვენს აზრებს გაიზიარებენ, დაგეხმარებიან და მხარს დაგიჭერენ. განსაკუთრებულ ყურადღებით უნდა იყოთ განწესებაში ყოფნის დროს. თქვენს ხელქვეითებს მოექეცით რბილათ და იქონიეთ რაც შეიძლება ბევრი მოთმინება და სამართლიანობა.

როდესაც თქვენ თითონ დაუმტკიცებთ თქვენს ხელქვეითებს, რომ თქვენ იცით და გიყვართ სამსახური და პირნათლად ასრულებთ მას, დამერწმუნეთ, რომ ისინიც პატივის-ცემით მოგეპყრობიან და გაამართლებენ თქვენს დანიშნულებას. სირცხვილი იქნება, თუ თქვენ, როგორც უფროსები, სამსახურის დროს დაარღვევთ წესდებების მოთხოვნილებებს და წესრიგს, ამ შემთხვევაში სასჯელს მიიღებთ და ამით გააქარწყლებთ ნდობას და პატივისცემას ხელქვეითების თვალში.

როდესაც მიიღებთ ახალგაზრდა ჯარის კაცებს, დაიწყეთ მათთან მეცადინეობა ხალისით, სიყვარულით და გაორკეცებულ ენერგიით. ყოველი თქვენგანი უნდა ცდილობდეს, რომ თქვენი ახალი ჯარის კაცი აღმოჩნდეს ყოველის მხრივ პირველი. თუ მოგიხდებათ გამგზავრება ფრონტზე და ბრძოლა მტერთან გახსოვდეთ, რომ თქვენი ხელქვეითები მოგაქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას თქვენ და გუნდის გამარჯვება დამოკიდებული იქნება მხოლოდ თქვენზედ. თუ თქვენ აღმოჩნდებით დინჯი, დარბაისელი და მედგარი, მაშინ თქვენი ხელქვეითებიც ასეთივე იქნებიან. გახსოვდეთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრების დაცვით, თქვენ იცავთ თქვენს საკუთარ სახლს, თქვენს ქონებას, თქვენს დედ-მამას, სოფელს, რამდენათაც არ უნდა იყოს დაშორებული ფრონტიდგან. წაგებულ ომზე პასუხს აგებს მთელი ხალხი და თქვენც ხომ ხალხის შვილები ხართ. თუ თქვენში გამოჩნდებიან აგიტატორები, პროვოკატორები, რომელნიც მოგიწოდებენ თქვენ თქვენი უფროსების და მთავრობის წინააღმდეგ, გახსოვდეთ მტკიცეთ თქვენი მოვალეობა. მოიგონეთ რა მოხდა ლაგოდეხში, მოიგონეთ, როგორ ნანობდნენ მოტყუებული აგიტატორების მიერ ჯარის კაცები, რომელნიც გრძნობდნენ თავიანთ დანაშაულს თავის სამშობლოს წინ, მაგრამ უკვე გვიანღა იყო. თქვენ უნდა მტკიცეთ გწამდეთ, ნათლად გახსოვდეთ და გრძნობდეთ, რომ ჩვენი მთავრობა ხალხის მთავრობაა, რომ ის ამორჩეულია თავისუფლად თვით ხალხისაგან და ამიტომაც ეს მთავრობა არასოდეს არ მოგთხოვთ თქვენ იმას, რაც ხალხს არ უნდა, რაც ხალხს ავნებს, ნუ ენდობით აგიტატორებს და სხვა და სხვა ხმებს და მავნე პირებს, რომელნიც სამარეს გვიმზადებენ... თქვენ კარგათ იცოდეთ, დამფუძნებელი კრება არის თვით ხალხი და რომ დამფუძნებელ კრებამ არ იცოდეს, ისე არაფერი არ კეთდება. მართალია, ადვილი არ არის ხანგრძლივი ბრძოლა, ყველას სწყურიან თავისუფლათ ამოისუნთქოს მაგრამ დარწმუნდით, უფრო უარესია, თუ მტერი დაგვამარცხებს, თუ ჩვენს ოჯახს, ჩვენ კერას და თავისუფლებას ის გაათხრებს, გათელავს და მიწასთან გაასწორებს. ქართველ ერს ლამაზი და საყურადღებო ისტორია აქვს; ჩვენ, ქართველები, ყოველთვის განვირჩეოდით თავგანწირვით და დიდი სიყვარულით სამშობლოსადმი. ჩვენი სამშობლო კვლავ აღმოცენდა, აყვავდა, დაგვიდგა ბედნიერი დღეები, ჩვენმა ერმა ბორკილები აიხსნა, მონობას თავი დააღწია და თავისუფლათ ამოისუნთქა. ნუ თუ ეხლა მან ხელები უნდა ჩაუშვას და ეს მონაპოვი უნდა დაღუპოს? არა, ეს ასე არ უნდა მოხდეს და არც იქნება; ქართველი ხალხი არასოდეს არ იყო ლაჩარი და არც იქნება. გვშორდებით, მაგრამ ნუ დაგვივიწყებთ ჩვენ თქვენს უფროსებს. მართალია, ზოგიერთ თქვენგანზე უკიდურეს ზომებს ვღებულობდით, რომელიც გამოიხატებოდა დისციპლინარულ დასჯაში, მაგრამ ამ ზომებს მივმართავდით არა იმიტომ, რომ ამ უკანასკნელით თქვენთვის მოგვეყენებინა უსიამოვნება, არამედ იმიტომ, რომ ამით ჩვენ გვინდოდა მოგვეტანა სარგებლობა თქვენთვის მომავალ სამხედრო სამსახურში კეთილ გზაზე. ეს იყო მოვალეობა ჩვენი სამსახურისა და, კერძოთ, სინდისისა. შეიძლება ჩვენის მხრით დაშვებული იყო ხოლმე შეცდომები, და, ზოგჯერაც, უსამართლო მოპყრობაც, მაგრამ ეს უკანასკნელი იქნებოდა დაშვებული მხოლოდ საქმის გაუგებრობით. დიდი მოხარული ვიქნები, თუ თქვენ ათასეულებიდგან ერთ-ორ თვის შემდეგ მომწერთ მე, თუ როგორ გრძნობთ თქვენს თავს იქ, როგორი მიმდინარეობის იქნება თქვენი სამსახური და როგორ შედეგებს მიაღწევთ, განსაკუთრებით, ახალი ჯარის კაცების მოსვლის შემდეგ მე გთხოვთ არ მომერიდოთ და მომწეროთ ხშირად. სთხოვეთ ათასეულში თქვენი გუნდის უფროსს გადმომიგზავნონ მე თქვენი წერილები. თუ ვინმე წამოვა თბილისში, მოდით ჩვენთან და ჩვენ ყველა, თქვენი უფროსები, მოხარულნი ვიქნებით გავიზიაროთ თქვენი აზრი და გემუსაიფოთ დიდის სიამოვნებით, იცოდეთ, მეც შევეკითხები თქვენს მომავალ უფროსებს ცნობების გასაგებათ თქვენზე თქვენ სამსახურზე და დარწმუნებული ვარ, რომ მე არ გამაწბილებთ.

საუბედუროთ ყველამ ვერ დაასრულეთ სკოლა; ზოგიერთს ხელი შეუშალა ავადმყოფობამ. ზოგიერთს წერა-კითხვის უცოდინობამ, მაგრამ მაინც ვიმედოვნებ, რომ კურს დაუმთავრებელნი მეომრებათ ხომ კარგები იქნებიან.

გისურვებთ კეთილ გზას, გისურვებთ კეთილად დაამთავროთ თქვენი სამსახური და ჯანსაღათ დაუბრუნდეთ თქვენს ოჯახს იმ რწმენით, რომ თქვენ პირნათლად შეასრულეთ სამსახური თქვენს სამშობლოს თავისუფალ რესპუბლიკის წინაშე.

გაუმარჯოს ჩვენს თავისუფალ ერს,
გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს!

## კორესპონდენცია
### ბორჩალოს რევიზიის გამო.

ამ ორი წლის წინათ, ესე იგი 1918 წელს მთლათ დაარბიეს ადგილობრივ შეკრებილმა ბრბოებმა როგორც ქვემო ბორჩალო, ისე უფრო დიდათ მთელი თრიალეთის საბოქაულო—ბაშკიჩეტის რაიონი, სადაც დედამიწასთან გაასწორეს ათი დიდებული ყველის და კარაქის მანქანებით და შვეიცარული ძროხით სავსე ქარხნები; კუჩენბახების სამ ადგილას, ავტერიების ოთხ ადგილას, პაპერი იდრისსი ერთ ადგილას, ნადირაშვილებისა და ბურცუკლიშვილიბისა ერთ ადგილასა და ლორის რაიონშიაც ხუთ-ექვს ადგილას. ამ ქარხნების ეხლა ვერც ოცი მილიარდი აღადგენს. ეს ბოროტმოქმედნი დღესაც თავისუფლათ დასეირნობენ და კიდეც მუქარით მიმართავენ, თუ ვინმე ამ საგანზედ გაახსენებს რასმე.

შემდგარმა საქმეებმა თავი მოიყარეს ადგილობრივ გამომძიებლებთან, მაგრამ აქამდინ არაფერი ზომები არ იქმნა მიღებული არც გამომძიებლის მხრივ, არც ადგილობრივ მილიციის მხრივ, თუმც მილიციას დიდი სამსახური შეეძლო გაეწია დანგრეულ ქარხნების მესაკუთრეებისათვის და კანონის ასამაღლებლათ. მაგრამ ამის გამკეთებლებს დიდი მომზადება: ცოდნა კანონისა, ადგილობრივ ხალხისა, მისი ენისა, ჩვეულებისა, წესრიგისა აუცილებლად უნდა ჰქონდეს, უამისოთ ვერავინ ვერასფერს გააკეთებს, ვინც გინდა იყოს დანიშნული. აქ სწორეთ ამისთანა კაცია საჭირო და არა მარქსის, ენგელსის და ბებელისუბნელი, როგორიც იყო დანიშნული მაშინ ვითომც ამათი პატენტიანი ბაშკიჩეტისა და მთელი თრიალეთის რაიონის კომისარათ გოლა ბურტყულაშვილი.

ეს ვაჟბატონი სოციალისტური შეხედვით მოვიდა, მაგრამ დაწყევლილმა ოქრომ და ვერცხლმა ფეხქვეშ გაანადგურებინა მითვისებული. პატენტი, რომლითაც დაამტკიცეს დანიშნულ რამოდენიმე გამომძიებით: პოლკოვნიკმა ხარაძემ, მაზრის თანაშემწეებმა თორამიშვილმა, კავკასიძემ და მაზრის უფროსებმა მირზაშვილმა და დადიანმა. ამათ ყველამ სავსებით დაამტკიცეს ამის მექრთამეობა, სახელმწიფო ქონების მითვისება, ხალხის ტყვილა უბრალოთ დარბევა წართმევით. ამის გამოც იყო ადგილიდან დათხოვნილი. გამოძიებები თავის დროზედ გამომძიებლებისაგან იყო გადაცემული თავთავის ადგილას ადგილობრივ ერობის თავმჯდომარე კავკასიძესთან და მგონი მილიციის ინსპექტორთან, მაგრამ ეს გამომძიებლები აღარ ჩანან და ეს ნაჩვენები ბურტყულაშვილი კავკასიძის და მისი ამხანაგების დაფარვით, პასუხისგების მიცემის და მთლათ ბორჩალოს მაზ. გამგეობის მაგიერ, გვერდში ამოიყენეს და უფრო უმაღლესი ადგილი მისცეს სააგრარო განყოფილება. ამან უფრო გაათამამა ეს ყმაწვილი და მიჰყვა კრეჭას ხალხისას, რითაც კი შეიძლებოდა... ერთ ქართულ გაზეთში ამ წელს იყო მოყვანილი, რომ ასან ხოჯანელეძს ორასი თუმანი ფულათ გამოართვა რაღაც საქმეში და ათი ფუთი ხახვი და ძველი [illegible] პეტრე ამეტერისაგან ქრთამი 2660 მანეთი მისცა უკან ეხლა კიდევ ამ წარსულ ზაფხულში მეორე ამეტერებისათვის გაჯავრებული ჩამოურთმევია მიწები, მიუცია ყარაბულახელ თათრებისათვის ნორმაზედ მეტი და როგორათაც იქაურივე თათრები ამბობენ ესე იგი ყული მამედ ყული ოღლი სოიუნ ალი ოღლი და ქერ ასან ახმედ ოღლი, გამოურთმევია ათი ათასი მანეთი, ორი ფუთი ერბო და ერთი ფუთი ყველი. ამ ქრთამიდანაც იოსებ მინდოდაურისთვის თუშის ზავოდში უბრუნებია ძველი შელახული ქრთამით აღებული ფულები.

ამ სახელმწიფო მიწებს ურიგებს სხვებს მაგრამ არც თავის თავის არჩენს უსარგებლოდ. გარდა იმისა, რომ ყვლეფავს თუმცე ხალხს ფულით, ერბოთი, ყველით, საკლავი საქონლითა. რძითა, ფქვილითა, ხახვითა და სხვათი, მიწასაც ართმევს სასოფლო საზოგადოებებს თავის სასარგებლოთ. ასე წაურთმევია სოფელ ყალამშაში ერთი დესეტინა მიწა, რომელსაც ხმარობდნენ გლეხნი გიორგი და ვანა დევენოზაშვილები, ალექსი და ლევანა [illegible]ხელაშვილები და სხვები. ეს მიწა მოსახნავათ მისცა ისევ ამ გლეხ კაცებს ორ თალარ ხორბლათ, ესე იგი თვრამეტ ფუთ ხორბლათ, მაგრამ სეტყვამ გააფუჭა და ეხლა თავის წილსა სთხოვს. თუ არ მისცემენ ემუქრება სხვა და სხვა მუქარებით. აგრეთვე სოფელ ქვეშში წაურთმევია გლეხებისათვის სამი დესეტინა ადგილი ასე რომ ეს ვაჟბატონი კარგი ბურჟუა მესაკუთრე ხდება სხვა და სხვა სოფლებში და ადგილებში. რამდენათ მართალია ეს გამოძიებით შეიძლება აღმოჩენა.

მართალია ეხლა იქ კავკასიძე აღარ არის, მაგრამ იმისი დამქაშები ვიღაც მოსული ნახიჩევნელი აზიზ შარიფ ოღლი და იმისი დამქაშები წოდება ჩამორთმეული სუდით 1666 მუხლის ძალით ფირ-მამედა ოჯიევი და სხვები იმისი ამხანაგები იქ არიან. ესენი ყველანი დაშინებულები იყვნენ და მიიღებენ ყველა ზომებს ვისგანაც ეშინიათ გადაათქმევინონ და რომ ეს არ მოხდეს, ესენი უნდა იყვნენ საგანგებო რევიზიის დროს მაინც გაძევებულნი მაზრიდან და ისე ეკითხოს გაზეთებში ნაჩვენებ ავტორებს და იმათ ნაჩვენებ მოწმებს, მაგალითად შარიფოვზედ: ლელ სულთანოვს, ბეკ და ჯალალ ახუნდოვებს, რადიმ თოფჩიევს მპავანაძეს, ედიგაროვებს ახაზს და სხვებს ქრავალთ.

კ. ხვიმონიშვილი.

რედაქტორი: გრ. ვეშაპელი
სამხ. სამ. სხამბა, ლორის-მელი ქ., 3

## გლეხთა საყურადღებოდ
### დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სათანადო დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო—სასოფლო—საჭიროებათა (ადგილ მამულის, სურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების) ურიგ დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა მიერ.

ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა მასალა მიიღება თბილისში: „ნაციონალისტის“ რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. №8